## პროექტი №42
## კვების თხევადი პროდუქტების გაუვნებლობა და ხარისხის გაუმჯობესება

პროექტის ხელმძღვანელი – თ. მეგრელიძე
დაფინანსება - 14000 ლარი

კვლევის შედეგები: დამუშავებულია კვების თხევადი პროდუქტების გაუვნებლობის დ ხარისხის გაუმჯობესების კომბინირებული სისტემები. შესაბამისი ექსპერიმენტული სტენდის დასაკომპლექტებლად შეძენილი იქნა ულტრაიისფერი და ინფრაწითელი დასხივების სტერილიზატორები, ჩვეულებრივი და აქტიური ნახშირის ფილტრები, ოზონატორი, მემბრანული ფილტრები მიკროფილტრაციის, ულტრაფილტრაციის და უკუოსმოსის ჩატარებისათვის ფორების სხვადასხვა ზომებით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: დამუშავებული ახალი კომბინირებული სისტემების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახის კვების თხევადი პროდუქტების გაუვნებლობისათვის. დაბალტემპერატურული ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში მიღებული კვების თხევადი პროდუქტი კარგად ინარჩუნებს საწყის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და ხასიათდება მდგრადობით.

პროექტში მონაწილეთა მიერ თემასთან დაკავშირებით მიღებულია ორი პატენტი. პროექტის მეცნიერული კვლევის შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია შრომათა კრებულში.